

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი
სხდომის ოქმი N5**

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

18.03.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი ივანიაძე**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი: – გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები. ალექსანდრე ლილუაშვილი, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, გელა ღვიტიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ბესარიონ ახვლედიანი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 11⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელი: /დავით გაბუნია/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.“

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: /ბესარიონ ახვლედიანი/

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -28

წინააღმდეგი - 2 (დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი)

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია 2020 წლის 25 თებერვალს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული N 320211-63 დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სკოლების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 192,5 ათასი ლარის გამოყოფამ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი)

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 9)

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დავით გაბუნია წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები.

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. (დანართი N1)

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2 შეიცვალოს ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. (დანართი N2)

3. დადგენილებას დაემატოს დანართი N3-„ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი N3).

4. დადგენილებას დაემატოს დანართი N4 -„ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანდებობრივი სარგოები“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. (დანართი N4)

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი)

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების

განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

(დადგენილება N 10)

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწის ნორმატიული ფასები არ შეცვლილა და დარჩა იგივე რაც 2019 წელს იყო:

ა) ქალაქ ვანის ტერიტორიაზე -8,88 ლარი.

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე -4,00 ლარი.

გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში -6,00 ლარი.

დ) დასახლებათა შორის არეალებში- 3,00 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი)

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.“

(დადგენილება N 11)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ბესარიონ ახვლედიანმა წარმოადგინა დადგენილების „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დანართის მე-8¹ მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

ვ) ჩაიბაროს მშენებლობის ბოლო ეტაპი და შენობა -ნაგებობა მიიღოს ექსპლოატაციაში მშენებლობის ნებართვის მფლობელის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 2 (დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი)

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N12)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე